ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 57-53

"15" მაისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული პირები გათავისუფლდნენ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის დაწესებული მოსაკრებლის (შემდგომში-მოსაკრებელი) გადახდისაგან 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში, გარდა ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 2.

ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ პირებს, რომელთაც ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ პერიოდზე გადახდილი აქვთ მოსაკრებელი, გადახდილი თანხა აესახებათ სააბონენტო ბარათზე (რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას), რომელიც ჩაითვლება საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ დარიცხული მიმდინარე დავალიანების დასაფარად.

მუხლი 3.

ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ პირები უფლებამოსილი არიან უარი განაცხადონ მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებაზე, მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურთან ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირთან განაცხადის შეტანის გზით.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

<u>დანართი</u>

N	მოსაკრებლის გადამხდელთა კატეგორია
1.	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, გალერიები, არქივები
2.	კინოთეატრები და თეატრები, საკონცერტო დარბაზები
3.	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები
4.	სასტუმროები და სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლები
5.	სტადიონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები და მანეჟები, საჯინიბოები, კორტები
6.	სამრეწველო საქონლის მაღაზიები, ბირჟები, საიუველირო, ანტიკვარიატის მაღაზიები
7.	აგრარული ბაზრები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები
8.	შერეული საქონლის ბაზრობები და საბითუმო ვაჭრობის საწყობები და მაცივრები
9.	აბანოები, საუნები და საცურაო აუზები
10	სადალაქოები, სილამაზის სალონები და კოსმეტოლოგიის და ესთეტიკის ცენტრები
11.	მცირე სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები
12.	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, კაფეები და ბარები
13.	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის
14.	დისკოთეკები, ღამის კლუბები, კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები
15.	საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ავტოსადგურები, აეროპორტები, რკინიგზის და მეტროპოლიტენის სადგურები
16.	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები, მდინარეებზე, ტბებზე და თბილისის ზღვის ფასიანი სანაპირო ზოლები